საგამოძიებო მოქმედებისას ნეიტრალური მტკიცებულების მოპოვება და მისი როლი საქმეზე შემაჯამებელი გადაწყვეტილების მიღების კონტექსტში

გიორგი ჩხეიძე

სამაგისტრო ნაშრომი წარდგენილია ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის სამართლის სკოლაში სისხლის სამართლის მაგისტრის აკადემიური ხარისხის მინიჭების მოთხოვნის შესაბამისად

სისხლის სამართალის სამაგისტრო პროგრამა

ხელმძღვანელი: ნათია მოგელაძე

ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი

თბილისი, 2025 წელი

განაცხადი

„როგორც წარდგენილი სამაგისტრო ნაშრომის ავტორი, ვაცხადებ, რომ ნაშრომი არ შეიცავს სხვა ავტორების მიერ აქამდე გამოქვეყნებულ, გამოსაქვეყნებლად მიღებულ ან დასაცავად წარდგენილ მასალებს, რომლებიც ნაშრომში არ არის მოხსენიებული ან ციტირებული სათანადო წესების შესაბამისად“

გიორგი ჩხეიძე

23.06.2025

აბსტრაქტი

ნეიტრალური მტკიცებულებები და მათი მოპოვება სისხლის სამართლის პროცესში მნიშვნელოვანია საქმეზე კანონიერი, დასაბუთებული და სამართლიანი განაჩენის დადგენისთვის. იმგვარი სახის სისხლის სამართლის საქმეებზე, რომლებშიც სახელმწიფო ბრალდება მეტწილად ეყრდნობა პირის შემხებლობას კონკრეტულ საგანთან, ნივთთან თუ ნივთიერებასთან, ბრალდების მხარეს ეკისრება ვალდებულება მოიპოვოს საგამოძიებო მოქმედების მიმდინარეობისა და შედეგების ამსახველი მიუკერძოებელი და ობიექტური მტკიცებულებები.

აღნიშნული ვალდებულების დაკისრება განსაკუთრებით აქტუალური გახდა საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილების, *გიორგი ქებურია საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ*, მიღების შემდგომ, რომელიც მიმართულია საგამოძიებო ორგანოების მხრიდან თვითნებობისა და უფლებამოსილების ბოროტად გამოყენების რისკების შემცირებისკენ. ცხადია, ამგვარი რისკების სრულად აღმოფხვრა საკანონმდებლო ჩარჩოს ფორმირებით რთულად მისაღწევი, შეიძლება ითქვას, რომ შეუძლებელიც კი არის, თუმცა მნიშვნელოვანია, რომ ბრალდებულს გააჩნდეს საკუთარი პოზიციის ჯეროვნად დაცვის სამართლებრივი ბერკეტები.

წარმოდგენილი ნაშრომის ფარგლებში განხილული და შედარებული იქნება საკონსტიტიცო სასამართლოს ზემოხსენებული გადაწყვეტილების მიღებამდე და მის შემდეგ არსებული სამართლებრივი ვითარება. ბუნებრივია, მნიშვნელოვანი ყურადღება დაეთმობა აღნიშნული გადაწყვეტილების შემდგომ მიღებულ საკანონმდებლო ცვლილების ანალიზს, მის მოქმედებას ადგილობრივ სასამართლო პრაქტიკაში, არსებულ ხარვეზებს და მათი აღმოფხვრის შესაძლო გზებს. საგულისხმოა იმაზე მსჯელობაც, რამდენად აკმაყოფილებს მათ შორის დღეს მოქმედი საკანონმდებლო ჩარჩო და საერთო სასამართლოების პრაქტიკა ნეიტრალური მტკიცებულებების მოპოვების თვალსაზრისით, საკონსტიტუციო სასამართლოს ზემოხსენებული გადაწყვეტილებისა და ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს მიერ დადგენილ სტანდარტებს.

Abstract

Neutral evidences and the acquisiion in criminal proceedings is crucial for ensuring a lawful, substantiated, and fair verdict. In criminal cases where the state prosecution primarily relies on a person's connection to a specific object, item, or substance, the prosecution bears the obligation to obtain impartial and objective evidence that reflects the course and outcomes of the investigative action.

The imposition of this obligation became particularly relevant following the decision of the Constitutional Court of Georgia in the case of *Giorgi Keburia v. Parliament of Georgia*, which aims to reduce the risks of arbitrariness and abuse of power by investigative authorities. Clearly, the complete elimination of such risks through the establishment of a legislative framework is difficult to achieve—arguably even impossible. Nevertheless, it is essential that the accused is provided with effective legal mechanisms to properly defend their position.

Within the scope of this paper, the legal framework in place before and after the aforementioned decision of the Constitutional Court will be examined and compared. Particular attention will be devoted to analyzing the legislative amendments adopted in the aftermath of the decision, their impact on domestic judicial practice, existing shortcomings, and potential avenues for their resolution. Additionally, the paper will assess the extent to which the current legislative framework and the practice of common courts comply—with respect to the acquisition of neutral evidence—with the standards set by the Constitutional Court's ruling and the jurisprudence of the European Court of Human Rights.